საქართველოს მთავრობის

დადგენილება №87

2022 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/02/2016, 300160070.10.003.019106) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 1018.4 ქვეთავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1018.4 ჩიხები.** თუ საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი, გასასვლელთან მისადგომი ისე უნდა მოეწყოს, რომ დერეფნებში არ შეიქმნას 6,0 მ-ზე გრძელი ჩიხები.

გამონაკლისი:

1. დწ-3 ჯგუფის დაკავებულობების მე-2, მე-3 ან მე-4 მდგომარეობაში (იხ. ქვეთავი 308.5) დერეფნის ჩიხის სიგრძე 15 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

2. სქ, სგ, სმ, დწ-1, სვ, სც-1, სც-2 (გარდა ამ გამონაკლისის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შენობებისა), სც-4 და დს ჯგუფების დაკავებულობებში, სადაც შენობა მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, დერეფნის ჩიხის სიგრძე 15 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3. დერეფნის ჩიხის სიგრძე არ უნდა შეიზღუდოს, თუ მისი სიგრძე ყველაზე მცირე სიგანეს 2,5-ჯერ არ აღემატება.

4. სც-2 ჯგუფს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობაში, სადაც დერეფნები მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, დერეფნის ჩიხის სიგრძე 15 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2022 წლის 1 მარტამდე გაიცა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**